

პირველი აბორტის გაკეთების გადაწყვეტილების მიღების დომინანტური
მიზეზი საქართველოში 18-დან 25წლამდე გოგოებში (პირველი აბორტი)

ელენა ფილიევა

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და
ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

განაცხადი:

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ე.ფილიევა 13.06.2014

სარჩევი

აბსტრაქტი	4
შესავალი	Error! Bookmark not defined.
საკვლევი საკითხი/პრობლემა	Error! Bookmark not defined.
კვლევის მნიშვნელობა.....	Error! Bookmark not defined.
კვლევის მიზანი/იზანისე.....	Error! Bookmark not defined.
ლიტერატურის მიმოხილვა.....	Error! Bookmark not defined.
აბორტის განმარტება და მისი სახეობები	Error! Bookmark not defined.
ცოტა რამ ისტორიიდან აბორტების შესახებ	Error! Bookmark not defined.
სტატისტიკური მონაცემები	Error! Bookmark not defined.
კანონი, რომელიც აკონტროლებს აბორტის შემთხვევებს	Error! Bookmark not defined.
კვლევითი ნაწილი	Error! Bookmark not defined.
კვლევის მეთოდოლოგია	Error! Bookmark not defined.
შერჩევა და რესპოდენტები.....	Error! Bookmark not defined.
კვლევის ეთიკა:.....	Error! Bookmark not defined.
კვლევის ინსტრუმენტი	Error! Bookmark not defined.
კვლევის სირთულები.....	Error! Bookmark not defined.
კვლევის შედეგები	Error! Bookmark not defined.
სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი	Error! Bookmark not defined.
დასკვნა და რეკომენდაციები	Error! Bookmark not defined.
გამოყენებული ლიტერატურა.....	Error! Bookmark not defined.
გრაფიკების და ცხრილების ჩამონათვალი.....	Error! Bookmark not defined.

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია იკვლიოს საქართველოში პირველი აბორტის გადაწყვეტილების მიღების დომინანტური მიზეზები და გამოარკვიოს, თუ რა დინამიკა არსებობს ამ მხრივ ბოლო 40 წლის განმავლობაში. კვლევაში მონაწილეობდა 48 რესპოდენტი. პირველ ჯგუფში 25 რესპოდენტი იყო (18დან 25 წლამდე), ხოლო მეორეში 23(60დან 67მდე). კვლევა აღწერით ხასიათს ატარებს და გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდები, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ და თვით-ადმინისტრირებადი კითხვარი. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ამჟამად საქართველოში 18დან 25 წლამდე გოგოები პირველ აბორტს უფრო სოციუმის შიშის გამო იკეთებენ, ხოლო 60 დან 67 ქალბატონებმა კი პირველი აბორტი (როცა ახალგაზრდები იყვნენ) ოჯახის გადაწყვეტილებით მიიღეს. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები სკოლაში უფროსკლასელთათვის სექსუალური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით. ხაზგასმულია მოზარდის მიერ აბორტთან დაკავშირებული ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობის შესახებ, მოზარდის მიერ საკუთარი უფლებების გაცნობიერებულობის შესახებ, რათა აფექტურ მგდომარეობაში მყოფმა არ მიიღოს ნაჩქარევი გადაწყვეტილება სხვების (ძირითდად ექიმების და მშობლების) ზეგავლენით, რომელიც შემდგომ მის მომავალ ცხოვრებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს. ასევე, გამოკვეთილია სოციალური მუშაკის როლი ქალის გაძლიერებასთან მიმართებაში.